

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სექსუალური ორიენტაციის ნიშნით განხორციელებულ ძალადობაზე სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა

საია იცავდა დაზარალებულის ინტერესებს, რომელიც სექსუალური ორიენტაციის გამო ოჯახის წევრის (ძმის) მხრიდან ძალადობის მსხვერპლი იყო. მოძალადე მსხვერპლს განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის გამო სისტემატიურად ამცირებდა, აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, რის გამოც დაზარალებული იძულებული გახდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი.

ამ საქმეზე ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ 2019 წლის 29 ოქტომბერს გამოიტანა განაჩენი და მოძალადე დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (ოჯახში ძალადობა). სასამართლომ ასევე გამოიყენა სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლი და სექსუალური ორიენტაციის მოტივით ჩადენილი დანაშაული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია. მიღებული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომაც.

ამ საქმეს საია USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით აწარმოებდა.